ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4595134

ნომერი: AR1693713

თარიღი : 11.07.2019

გაცემის თარიღი : 18.07.2019

გაცნობის თარიღი : 18.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან მამისაშვილი პ/ნ 01021001076
- ქ. თბილისი, ავშნის ქ. #126

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2), სადაც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, იმისათვის, რომ ნაკვეთი სამშენებლოდ განვითარდეს უნდა აკმაყოფილებდეს ზონისთვის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს, აღნიშნული საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2 ისთვის (სსზ 2), შეადგენს: მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 700 კვ.მ; მინიმალური სიგანე 20 მეტრი; მინიმალური სიღრმე 30 მეტრი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინდაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი ვერ აკმაყოფილებს (სსზ 2-ის) ზონისთვის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს,(თქვენს შემთხვევაში სიღრმით) შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.